ქობულეთი თათბა

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის
სოფელ ჩაქვის №1 საჯარო სკოლის
ერთჯერადი გამოცემა

გილოცავთ მასწავლებლის საერთაშორისო დღეს!

გისურვებთ შვიდობას, ჯანმრთელობას, სიხარულს და მრავალ წარმატებას!
ჩვენ, IV გ კლასი ყოველთვის შევეცდებით გაგიმართლოთ მოლოდინები.
მადლობას გიხდით თქვენი შრომისა და ამაგისთვის

წელს ჩვენს სკოლაში მასწავლებლის დღე განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნა!



როგორ აღნიშნავენ მასწავლებლის საერთაშორისო დღეს სხვადასხვა ქვეყნები

წელს, მასწავლებლის საერთაშორისო დღის დაარსებიდან 30 წელი გადის. მას მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში 5 ოქტომბერს ზეიმობენ, ზოგან კი მას მცოცავი თარიღი აქვს.

საინტერესოა, როგორ აღნიშნავენ პედაგოგთა პროფესიულ დღეს მსოფლიოს სხვადასხვე ქვეყანაში?

იაპონია

საინტერესოა, რომ ამომავალი მზის ქვეყანაში მასწავლებლის დღეს არ აღნიშნავენ. მაგრამ იაპონელებს, ხომ მასწავლებლის კულტი აქვთ. მაშინ რატომ მოხდა ასე?

იაპონიაში მასწავლებელი ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული და პატივსაცემი პროფესიაა. იაპონელ მეწარმეებს ძალიან უხარიათ, როცა მათ მაღაზიებში მასწავლებელი შედის, ამას ისინი დიდ პატივად თვლიან. მეტროში პედაგოგებისთვის ცალკე ადგილები არსებობს, სპეციალურად მათთვის გახსნიალია მაღაზიები, ისინი არ დგანან ბილეთის რიგში. მაშინ რაში სჭირდებათ იაპონელ მასწავლებლებს ცალკე დღესასწაული, თუ მათი ცხოვრების ყოველი დღე ისედაც ზეიმია.

არგენტინა

ამ ქვეყანაში მასწავლებლის დღე ერთ- ერთი მთავარი დღესასწაულია, მას 11 სექტემბერს აღნიშნავენ. დღე უქმედ ცხადდება, არგენტინელები კი პედაგოგებს ზარ- ზეიმით ულოცავენ.

აშშ

ამერიკის შეერთებულ შტატებში მასწავლებელს მთელ კვირას უძღვნიან, მაისის დასაწყისში „მასწავლებლისადმი მადლიერების კვირეულს“ აღნიშნავენ მოსწავლეები მშობლებთან ერთად სხვადასხვა გზით.

მოსწავლეები მასწავლებლებისათვის კექსებს აცხობენ, კედლის გაზეთებს ამზადებენ, სოციალურ ქსელში ფლეშმობებს აწყობემ. წერენ წერილებს, ჩუქნიან წიგნებს და ა. შ.

ჩინეთი

ქვეყანაში მასწავლებლის დღე 28 სექტემბერს - კონფუცის დაბადების დღეს აღინიშნება. მასწავლებლებისთვის დღესასწაულის მისალოცად სკოლაში ყოფილი მოსწავლეები მიდიან. ბავშვები კი მასწავლებლებს ყვავილებს ჩუქნიან და საზეიმო წარ-მოდგენებს მართავენ.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

იაკობ გოგებაშვილი

დაბადების ადგილი: სოფელი ვარიანი, ახლანდელი გორის რაიონი.

მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქ-ართველოში, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი. დაიბადა ღარიბი მღვდლის ოჯახში, 1861 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, შემდეგ კი კიევის სასულიერო აკადემია. სამშობლოში დაბრუნებისთანავე (1864) იგი თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად, ხოლო 1968 წელს მის ინსპექტორად დაინიშნა. 1874 წელს იგი, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, თანამდებობიდან მოხსნეს.

ი. გოგებაშვილი დაუღალავად იბრძოდა საქართველოში სახალხო სკოლების შექმნა-დამკვიდრებისათვის. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და საქმიანობაში.განსაკუთრებთ აღსანიშნავია ი. გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოები: "ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის" (1865); "ბუნების კარი" (1868); "დედა ენა" (1876), რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და დამკვიდრებაში და რომელთა პრინციპებზეა შედგენილი ქართული სკოლების დაწყებით კლასებში ამჟამად მოქმედი ქართული ენის სახელმძღვანელოები. გოგებაშვილი ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელია. მის მოთხრობებში დიდაქტიკური ელემენტი ორგანულად ერწყმის მხატვრულ რეალიზმს. გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედების ძირითადი წყაროა ქართული ფოლკლორი. ცნობილია მისი მოთხრობა "იავნანამ რა ჰქმნა" (1890). თავისი საბავშვო მოთხრობებით მწ-ერალმა დიდი ამაგი დასდო საყმაწვილო ჟურნალებს: "ნობათს", "ჯეჯილსა" და "ნაკადულს".

ი. გოგებაშვილი არ შურებდა სახსრებს სახალხო განათლებისათვის. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ სიკვდილის წინ მან მთელი თავისი ქონება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა.

როგორ აღნიშნავენ მასწავლებლის საერთაშორისო დღეს სხვადასხვა ქვეყნები

გაგრძელება მე-2 გვერდიდან

ჩეხეთი-სლოვაკეთი

პროფესიულ დღეს მასწავლებლებს 28 მარტს ულოცავენ. სწორედ ამ დღეს დაიბადა მორავიაში იან ამოს კომენსკი, მსოფლიოში ერთ- ერთი ყველაზე გამოჩენილი მასწავლებელი. კომენსკის პატივსაცემად კონკურსი GOLDEN AMOS ტარდება, სადაც ჯილდოს ნომინანტებს თავად მოსწავლეები ასახელებენ.

ინდოეთი

ინდოეთი: მასწავლებლის დღეს აქ 5 სექტემბერს აღნიშნავენ. ინდოეთის ყოფილი პრეზიდენტის, ფილოსოფოსის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სარვეპალი რადჰაკრიშნანის დაბადების დღეს. არსებობს საინტერესო ტრადიცია, ამ დღეს მაღალი კლასის მოსწავლეები პედაგოგების როლს ირგებენ და თავად ატარებენ გაკვეთილებს. რა თქმა უნდა, ამ დღეს მოსწავლეები პედაგოგებისადმი მადლიერებას გამოხატავენ და საზეიმოდ ულოცავენ.

იყო მასწავლებელი ნიშნავს გიყვარდეს ბავშვები

გთავაზობთ ინტერვიუს სკოლის დირექტორთან ქალბატონ გიული დავითაძესთან:

- რომ არა მასწავლებელი, ვიქნებოდი?

- არქიტექტორი, რადგან მე დამთავრებული მაქვს არქიტექტურული ფაკულტეტი და სიამოვნებით ვიმუშავებდი ამ პროფესიით. რადგან მე დამთავრებული მაქვს არქიტექტურული ფაკულტეტი და სიამოვნებით ვიმუშავებდი ამ პროფესიით.

- რას ნიშნავს იყო მასწავლებელი?

- იყო მასწავლებელი ნიშნავს გიყვარდეს ბავშვები, აიღო საკუთარ თავზე დიდი პასუხისმგებლობა, რათა ბავშვებს ჩამოუყალიბო ყველა კარგი უნარ-ჩვევები რაც მათ დაეხმარებათ ცოდნის სწორად აღქმაში და შემდეგ ამ ცოდნის გამოყენებაში.

- შეგიძლიათ გვითხრათ წარმატებული კლასის მართვის სტრატეგია, რომელიც წარსულში გამოიყენეთ და მოსწავლის ან ჯგუფის მართვაში დაგხმარებიათ?

- კლასის მართვის კონკრეტულ რომელიმე სტრატეგიაზე საუბარი რთულია, რადგან ეს პროცესი ხდება ინდივიდუალურად, ყველა ბავშვი და კლასიც განსხვავენულია და შესაბამისად მიდგომებსაც ვიყენებ საჭიროებიდან გამომდინარე, გეტყვით ჩემი გამოცდილები დან გამომდინარე, რომ ძალიან მოსწონთ ბავშვებს დისკუსია აქტუალურ თემებზე, მოსწონთ პროექტული სწავლება და ასე შემდეგ.

- რისი გაკეთებათ გინდათ სკოლისთვის?

- ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე დგას ჩვენი სკოლა, რომ გაიაროს ავტორიზაცია, შესაბამისად ჩემი მიზანია სკოლაში შეიცვალოს და გაუმჯობესდეს ინფრასტრუქტურა, დაცული იყოს უსაფრთხოება და ასევე იყოს მოქნილი სასწავლო პროცესი, რაც მიგვიყვანს საინტერესო ინკლუზიურ განათლებამდე, ასევე იყოს პოზიტიური გარემო.

- მოგწონთ ფორმიანობა?

- დიახ, მომწონს ფორმიანობა, ვფიქრობ ეს ძალიან ესთეტიკურია ვიზუალურად და ყველა ბავშვი თანასწორია და არ არის მიმბაძველობა თუ ვის რა " ბრენდი" აცვია.

- რომ იცოდეთ თქვენი სურვილი აუცილებლად შესრულდება, რას ისურვებდით?

- რამდენადაც ბანალურად არ უნდა ჟღერდეს, მე ვისურვებდი მშვიდობას და კეთილდღეობას.

- ბედნიერად რომ იგრძნოთ თავი, რა არის ამისთვის საჭირო?

- ბედნიერი რომ იყო, ვფიქრობ უნდა ცხოვრობდე მშვიდობიან ქვეყანაში, სადაც ყველა შენს ირგვლივ კეთილგანწყობილია და შეგეძლოს თავად სიყვარული, რომელსაც გაუზიარებ ირგლიმყოფებს.

მე ყოველთვის ვამბობდი რომ მსურდა ვყოფილიყავი მასწავლებელი და ეს ჩემი გააზრებული არჩევანი იყო

ვესაუბრებით სკოლის აწ უკვე ყოფილ დირექტორს ბატონ ტარიელ ქათამაძეს.

- მოგვიყევით თქვენს შესახებ.

- დავამთავრე ბათუმის პედაგოგიური სასწავლებელი, შემდეგ გავაგრძელე სწავლა სამართალ მცოდნეობაზე და 21 წლის ასაკში დავიწყე მასწავლებლობა ქობულეთის რ-ნი სოფ. ჩოლოქში სკოლის დირექტორად. რამდენიმე წელი ვიმუშავე წყავროკის სპუალო სკოლაში, შემდეგ სატყეო სკოლა ინტერნატში მასწავლებლად. სარედაქციო საქმიანობით დავკავდი, ვიყავი ჟურნალისტი, კორესპონდენტი ქობულეთის რაიონის გაზეთი „ლენინელი". არ შემიწყვეტია პედაგოგიური საქმიანობა, დღემდე ვარ მასწავლებელი. ვიყავი ამ სკოლის დირექტორი.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით ყველა თქვენს მასწავლებელს მიულოცე მასწავლებლის დღე, ვისაც ღვაწლი მიუძღვის მომავალი თაობის აღზრდაში. ვუსურვო გამძლეობა და წარმატება.

-როგორი ურთიერთობა გაქვთ კოლეგებთან, მოსწავლეებთან?

- კოლეგებთან ურთიერთობა ყოველდღიურად მაძლევს სტიმულს ხვალინდელი დღე უფრო უკეთესი რომ იყოს. ძირითადად ქალთა საზოგადოებასთან მომიწია ურთიერთობა და შევეგუე ამას. მათთან ურთიერთობა გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ ინფორმაციის გაცემა-მიღება.

- რატომ აირჩიეთ მასწავლებლობა?

- ბავშვობაში, ალბათ, ყველას გვეკითხებოდნენ, თუ რა გვინდოდა გამოვსულიყავით, როდესაც გავიზრდებოდით. ამ შეკით ხ ვაზე პასუხი ხშირად გაუაზრებელია, თუმცა მე ყოველთვის ვამბობდი, რომ მსურდა ვყოფილიყავი მასწავლებელი და ეს ჩემი გააზრებული არჩევანი იყო. გამიმართლა და კმაყოფილიც ვარ ჩემი არჩევანით.

სურვილი მაქვს ჩემმა აღზრდილებმა წარმატებებს მიაღწიონ და მასახელონ.

- როგორ აღნიშნავთ მასწავლებლის დღეს სკოლაში?

- სკოლაში მასწავლებლის დღე აღინიშნება მოკრძალებულად. ვულოვათ ერთმანეთს, არ ვიშურებთ ერთმანეთის მიმართ სითბოს და სიყვარულს. ჩვენც გვილოცავენ ჩვენი აღსაზრდელებიც, რაც გვიხარია და გვახარებს.

- როგორ შეუწყოთ ხელი წიგნიერებას?

- წიგნიერება ის ფუნდამენტური უნარია, რომელიც განაპირობებს ბავშვის წარმატებას სკოლასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. წიგნირება საშუალებას გვაძლევს, გავაცნობიეროთ მრავალფეროვანი წერილობითი, ვიზუალური და ზეპირი ტექსტები, რომლებიც ყველგან გხვდება. ამიტომ, მასწავლებელი ცდილობს თქვენ მეტად ჩაერთოთ წიგნიერებაში და მეტად დაკავდეთ წიგნით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შეგი ძლიათ ისარგებლოთ, რაც ხელს გიწყობთ წიგნიერებაში.

- რაში გეხმარებათ იუმორის გრძნობა?

- შეიძლება არ ვიყო კარგი იუმორისტი, მაგრამ სხვების ხუმრობებზე ვხალისობ. რომ არა იუმორი, რომ არა ეს გრძნობა ძალიან მძიმე ცხოვრება გვექნებოდა. იუმორი ჩვენს ბედნიერებას უწყობს ხელს და რაც მთავარია სწორი დროის შერჩევა.

- მადლობა გადაუხადეთ ბატონ ტარიელს და დავემშვიდობეთ.

მთ.რედაქტორი: ნონოლეტა ბერიძე
სარედაქციო კოლეგია:
მე-4 გ კლასის მოსწავლეები

გაზეთი დაკაბადონდა სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში.